

# რესურსები

- სიმულაციური ჰოსპიტალი
- სიმულაციური აფთიაქი
- ლაბორატორიები
- ოსკის/OSCE დარბაზი
- სტომატოლოგიური სიმულაციური და პრაქტიკული ლაბორატორია
- ჯანმრთელობის კვლევების ინსტიტუტი
- ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის კლინიკა რეავიტა UG



## საქართველოს უნივერსიტეტი


77, მ.კოსტავას ქუჩა, თბილისი 0171, საქართველო
www.ug.edu.ge
2 55 22 22




# ჯანმრთელობის მეცნიერებების სკოლა



## რატომ საქართველოს უნივერსიტეტი?

საქართველოს უნივერსიტეტი გამორჩეულია უმაღლესი ხარისხის, მომთხოვნი საგანმანათლებლო პროცესითა და ისეთი ტიპის თანამედროვე ინფრასტრუქტურით, რომელშიც ადამიანი ხარისხიან განათლებასთან ერთად პრაქტიკულ უნარებსაც ეუფლება. სწორედ ამიტომ, საქართველოს უნივერსიტეტი ცნობილია, როგორც ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული უნივერსიტეტი, რომლის კურსდამთავრებული დასაქმების რეალური პერსპექტივით არის უზრუნველყოფილი. საქართველოს უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები ლაღად და მყარად გრძნობენ თავს კონკურენტულ გარემოში.

უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი წარმოადგენს მაღალკვალიფიციურ, კრეატიულ და ენთუზიაზმით აღსავსე პროფესიონალებისაგან შემდგარ გუნდს, რომელიც მზად არის აღზარდოს აუცილებელი ცოდნით, უნარებითა და ღირებულებებით აღჭურვილი ადამიანი.

მნიშვნელოვანია, რომ უნივერსიტეტში არსებულ მულტიკულტურულ გარემოში ყალიბდება ჰუმანური ღირებულებების მქონე მოაზროვნე, განათლებული პიროვნება, რომელიც თავისუფლად უმკლავდება დღევანდელ სამყაროში არსებულ გამოწვევებს.

საქართველოს უნივერსიტეტი ერთ-ერთი წამყვანი უნივერსიტეტია, რომლის მიზანი თითოეული სტუდენტის პიროვნული განვითარება და მისი, როგორც მაღალი დონის პროფესიონალის ჩამოყალიბებაა. სწორედ ამიტომ, ჩვენი კურსდამთავრებული მოთხოვნადია თანამედროვე შრომით ბაზარზე, რასაც მათი დასაქმების უმაღლესი სტატისტიკური მაჩვენებელი ადასტურებს.



**OMOTAYO ISAAC - BACHELOR PROGRAM STUDENT OF PHARMACY**

IT IS A GREAT PRIVILEGE FOR ME TO STUDY HERE AT THE UNIVERSITY OF GEORGIA BECAUSE OF THE SKILLED AND COMPETENT PROFESSORS, VIABLE EDUCATIONAL AND FRIENDLY ATMOSPHERE AS WELL AS EXCELLENT UNIVERSITY LIFE.

APART FROM THIS, IT IS NOTEWORTHY THAT THE SCHOOL OF HEALTH SCIENCES AND PUBLIC HEALTH IS KNOWN FOR THE MODERN FACILITIES AND EQUIPMENT THAT ENSURE PRACTICAL KNOWLEDGE AND UP-TO-DATE APPROACHES THAT GIVE THE STUDENTS ACCESS TO CONTEMPORARY KNOWLEDGE IN THE MEDICAL SPHERE.

I LOVE MY UNIVERSITY AND MY WONDERFUL FRIENDS WHO STUDY HERE FROM AROUND THE WORLD.

# პროგრამები

## საბაკალავრო

- ჯანდაცვის ადმინისტრირება
- საექთნო საქმე (ქართ/ინგ)
- ფარმაცია (ქართ/ინგ)

## სამაგისტრო

- ჯანდაცვის ადმინისტრირება
- ფარმაცია (ქართ/ინგ)
- ფარმაციის მენეჯმენტი
- საზოგადოებრივი ჯანმრთელობა და ჯანდაცვის პოლიტიკა

## საბაკალავრო

- სტომატოლოგია (ინგ)
- მედიცინა (ინგ)

## სადოქტორო

- საზოგადოებრივი ჯანდაცვა









# უახლესი სამეცნიერო და სამედიცინო მიღწევების პირისპირ

ჯანმრთელობის მეცნიერებების სკოლა იძლევა ინოვაციური მეთოდებით სწავლების, კვლევების ჩატარებისა და თანამედროვე მედიცინის პრაქტიკაში გამოყენების ფართო შესაძლებლობებს. იგი ევროპის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ასოციაციის (EUPHA) წევრია და წარმოადგენს საქართველოს; სკოლა აგრეთვე გაწევრიანებულია ამერიკის ჯანდაცვის ადმინისტრირების საუნივერსიტეტო პროგრამების ასოციაციაში (AUPHA) და საერთაშორისო ფორუმებზე ყოველწლიურად განიხილავს მიღწეულ შედეგებს.

